საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს 54-ე მუხლს მეხუთე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„მსჯავრდებულის ვადამდე პირობით გათავისუფლების დროს სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს მშრომელთა გარკვეული კოლექტივი ან პირი, თუ მათი თანხმობა იქნა, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში მეთვალყურეობა გაუწიოს ვადამდე პირობით გათავისუფლებულს და ჩაუტაროს მას აღმზრდელობითი მუშაობა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1964 წლის 29 აპრილი.